მიმდინარე წლის 26 თებერვალს და 2 მარტს „უსაფრთხოების სფეროს მკვლევართა ასოციასციის“ („უსმას“) სასწავლო კვლევითი ცენტრის პროექტის „უნივერსიტეტებთან ერთად მდგრადი განვითარებისთვის“ ფარგლებში, კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი სტუდენტებისთვის გაიმართა ასოციაციის სასწავლო ცენტრის ონლაინ ტრენინგი.

ტრენინგის მეორე ნაწილი გაიმართა 2 მარტს. აღნიშნული ტრენინგის ფარგლებში სტუდენტები გაეცნენ შემდეგ საკითხებს:

- პროექტის „უნივერსიტეტებთან ერთად მდგრადი განვითარებისთვის“ მიზნები და გაეროს „დღის წესრიგი 2030“ - მეორე ნაწილი.
  მომხსენებელი -„უსმა“-ს პროექტების კოორდინატორი თამარ ახალკაციშვილი.

- „სასურსათო უსაფრთხოება“
  მომხსენებელი - სოფლის მეურნეობის აკადემიის ექსპერტი, ინოვაციური კომისიის თანათავჯდომარე - გოჩა ცოფურაშვილი.

ტრენინგი გაიმართა ონლაინ აპლიკაცია ZOOM-ის მეშვეობით. ტრენინგი შეაჯამეს ასოციაციის ახალგაზრდული მიმართულების ხელმძღვანელმა - ალექსანდრე კოპალიანმა და კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის წარმომადგენელმა პროფესორმა - ალიკა გუჩუამ.